მასწავლებელი

მასწავლებელს რთული მისია აქვს...მისი საქმიანობა სულაც არ არის იოლი.მასწავლებელი ვარ უკვე 6 წელია და კარგად ვიცი ის სირთულეები,რაც მასწავლებლის პროფესიას ახლავს.

მასწავლებელი უნდა იყოს მეგობრული,კომუნიკაბელური,კრეატიული,ტოლერანტული და ა.შ.ვთანამშრომლობ მოსწავლეებთან,ხაზს ვუსვამ თითოეული მოსწავლის ღირებულებებსა და უნიკალურობას.მოსწავლეები ისეთები უნდა მივიღოთ,როგორებიც არიან.წარმოუდგენელია პოზიტიური თვითშეფასების ჩამოყალიბება,თუ მასწავლებელი თვითონ არ ეპყრობა პატივისცემით მოსწავლეებს.გამოვყოფ დროს,რომ მოსწავლეებმა შეძლონ ისაუბრონ საკუთარი თავის შესახებ,ან რაიმე მოვლენაზე საკუთარი მოსაზრებები დააფიქსირონ.ისინი გრძნობენ,რომ მათი ცხოვრება საინტერესოა პედაგოგისა და თანაკლასელებისათვის.ვეხმარები მოსწავლეებს რომ იყვნენ კომუნიკაბელურები,პრობლემებს ვუწყვეტ და ძლიერ მხარეებს ვუჩვენებ.

მასწავლებელი უნდა იცნობდეს თითოეული მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს,თანამშრომლობდეს მოსწავლეებთან,მასწავლებლებთან,მშობლებთან.

ხშირად რჩევისა და დახმარების თხოვნით კოლეგებთან ვთანამშრომლობ.ვქმნი თანამშრომლობით გარემოს,სადაც მოსწავლეები ერთმანეთთან თანამშრომლობენ,რაც გულისხმობს ურთიერთსწავლებას,თანამშრომლობას.ბავშვები ზრუნავენ ერთმანეთზე ვუნვითარებ ტოლერანტობისა და ერთმანეთზე ზრუნვის გრძნობას.მოსწავლეებს ვასწავლი სამართლიანობას და მოვლენათა ობიექტურ შეფასებას.ვითვალისწინებ ბავშვების ინტერესებს სასწავლო მიზნების განსაზღვრისას.ბავშვებს ვაძლევ საშუალებას გამოთქვან საკუთარი აზრი,ჩემს მოსაზრებებს არ ვახვევ თავს.შეფასებისას ვარ ობიექტური,რაიმე ნიშნით არ ვანსხვავებ ბავშვებს.

შევიმუშავებ ქცევის წესებს და მათი თანმიმდევრულად გავატარებ ბავშვებთან.უფროს სტაჟიან კოლეგებთან ვთანამშრომლობ და მათი გამოცდილებას ვიზიარებ.გაკვეთილზე არსებულ ქცევის წესებს ბავშვებთან ერთად შევიმუშავებ და მათი დარღვევისათვისაც სანქციების დაწესებას.ვარჩევთ წესების ჩამონათვალს და განვსაზღვრავთ რაოდენობას,რათა ინსტრუქცია უფრო გაითავისონ მოსწავლეებმა.ვუხსნი მოსწავლეებს,თუ რა მიზანს ემსახურება ქცევის კონკრეტული წესი.ჰიპერაქტიული მოსწავლეები ვცდილობ დავაინტერესო საგნით და ჩავრთო საგაკვეთილო პროცესში.

ვეცნობი პროფესიული ლიტერატურას და შევისწავლი.ამ ფორმით შესაძლებელი იქნება ცოდნისა და გამოცდილების გაღრმავება.მასწავლებლები უნდა დაესწრონ თავიანთი კოლეგების საგაკვეთილო პროცესს: სწავლების მეთოდებზე დაკვირვებასა და თვალსაწიერის გაფართოების მოზნით,ისევე როგორც საკუთარი პედაგოგიური მიდგომების დასახვეწად.

სასწავლო რესურსის შერჩევისას ვითვალისწინებ მოსწავლეთა მზაობას და შესაძლებლობებს.ამის მიხედვით ვარჩევ სასწავლო რესურსს.ვიყენებ თვალსაჩინოებებს,პროექტებს მასალის უკეთ ათვისების მიზნით.მოსწავლეებს ახალი ინფორმაციის მოძიებას ვავალებ.მოტივაციის გაზრდის მიზნით ვიყენებ შექებას.

დაგეგმვის პროცესის ეფექტურობის გაზრდის თვალსაზრისით,რეკომენდირებულია:საგნობრივი თუ სხვა ნიშნით მასწავლებელთა ერთობლივი მუშაობა.ეფექტური დაგეგმისათვის ძალიან მნიშვნელოვანია:მასწავებელი აკონტრილებდეს და მართავდეს მის ხელთ არსებულ დროს.დროის 'გაფლანგვის' პრევენციისათვის მნიშვნელოვანია:პედაგოგმა დეტალურად გაანალიზოს საგაკვეთილო პროცესი.მასწავლებლისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესიამოცანაა:სწავლების განსხვავებული სტრატეგიებისა დამიდგომების გამოყენებით მოსწავლეთა ნაყოფიერი სწავლის დროის გაზრდა.ვგეგმავ სასწავლო პროცესს და გაკვეთილის სასწავლო მიზნებს განვსაზღვრავ,რაც ორიენტირებულია საგნობრივ სასწავლო გეგმაში მოცემული შედეგების მიღწევაზე.გაკვეთილის მიზნის განსაზღვრის დროს ვითვალისწინებ მასწავლებლის ცოდნას,უნარ-ჩვევებს,გამოცდილებას,საჭიროებებს და ინტერესებს.გაკვეთილის მიზნები ემსახურება მოსწავლეებში,როგორც ქვედა,ასევე ზედა დონის სააზროვნო უნარების განვითარებას.ვეცნობი ახალ ინფორმაციებს.ბავშვებს დავალებებს ვაძლევ ნიმუშის მიხედვით.მოსწავლეებს ვაცნობ ცნებებსა და ტერმინოლოგიებს,რაც საკითხის შესასწავლად დასჭირდებათ.

სწავლების მრავალგვარი სტრატეგიით დატვირთვა უზრუნველყოფს მრავალფეროვან და საინტერესო სასწავლო პროცესს:ნაკლებია კლასში დისციპლინური პრობლემები,იზრდება სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხი.მოსწავლეები აქტიურები ხდებიან დაინციატივას თავად ირჩევენ.გაკვეთილზე ვიყენებ ვენის დიაგრამას,გონებრივ იერიშს,როლურ თამაშებს.ამგვარი სტრატეგიებით მუშაობის მიზანიისეთი უნარ-ჩვევების გამომუშავებაა,რომლებიც მათ მთელი მომავალი ცხოვრების მანძილზე გამოადგებათ.ვცდილობ დავანახო მოსწავლეებს სწავლის პრაქტიკული მნიშვნელობა. სანამ საკლასო აქტივობების სახით,რომელიმე სტრატეგიას გამოვიყენებ,ვაცნობ კოლეგებს გადაწყვეტილებას და ვითვალისწინებ მათ აზრსაც.

ვმუშაობ დადებითი სასწავლო ატმოსფეროს ჩამოყალიბებაზე.აქტივობების ჩატარებას პერმანენტული ხასიათი უნდა ჰქონდეს და არ უნდა დარჩეს წელიწადში რამდენიმე ჩატარებულ ცალკეულ შემთხვევად.სწავლების სტრატეგიების და სწავლის პრინციპების მოსწავლეთათვის ახსნას დიდ დროს ვუთმობ.ვარ თანმიმდევრული,ვცდილობ გამოვიყენო სხვადასხვა ხერხები,რათა ყველა მოსწავლემდე თანაბრად მივიდეს სათქმელი.

მასწავლებელს უნდა ჰქონდეს კარგი ურთიერთობა ბავშვებთან.კარგი პიროვნული ურთიერთობების ჩამოყალიბებით მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლეში ღირსების გრძნობის ამაღლებას.კარგი პიროვნული ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე ზრუნვა მოტივაციის ამაღლების ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი კომპონენტია.

მასწავლებელს უნდა ჰქონდეს კარგი ურთიერთობა ბავშვებთან.კარგი პიროვნული ურთიერთობების ჩამოყალიბებით მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლეში ღირსების გრძნობის ამაღლებას.კარგი პიროვნული ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე ზრუნვა მოტივაციის ამაღლების ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი კომპონენტია.

შეჯამების სახით შემიძლია ვთქვა,რომ ახალი მეთოდების გაცნობა:ტრენინგები,კოლეგების გამოცდილების გაზიარება მეხმარება პრაქტიკის გაუმჯობესებაში:საკუთარი სწავლების მეთოდებში სუსტი და ძლიერი მხარეების აღმოჩენაში.

ს.ქოქოსაძე

14.09.16